THE ONE HUNDRED-YEAR DYNAMICS OF THE ETHNOGRAPHIC LIFE OF THE MESKHETIAN VILLAGE

მესხური სოფლის ეთნოგრაფიული ყოფის ასწლიანი დინამიკა

MEDEA BURDULI

Associate Professor, LEPL Samtskhe-Javakheti State University
106 Rustaveli str. 0800, Akhaltsikhe, Georgia
ORCID: 0000-0002-8866-1414
burdulimedea@yahoo.com
+995 599 23 12 97

Abstract

Drawing on historical sources and ethnographic material, this paper examines socio-economic transformations in Meskheti from the early 20th century to the present. It traces changes in village appearance, education, cultural life, and ethnic–religious composition against the backdrop of internal and external migration, highlighting both positive and negative consequences.

Historical cataclysms of the 17th–19th centuries shaped Meskheti into a polyethnic and multi-confessional region. By the early 20th century, villages often hosted diverse communities—Georgian Orthodox and Catholics, Armenian Gregorians, Muslims of Georgian and Turkic origin—while settlements of Armenians and Russians established in the 19th century remained monoethnic. Latent tensions escalated in the 1920s, culminating in open conflict. The deportation of the Muslim population in 1944 and subsequent resettlement of newcomers from other parts of Georgia were closely linked to the tragic events of 1918–1919.

The study devotes particular attention to the transformation of village infrastructure and education. Ethnographic evidence shows that from the 1960s onward, new residential buildings, schools, kindergartens, libraries, and medical posts were established. Yet the upheavals of the 1990s reversed many gains, requiring communities to rebuild. Today, most villages are gasified, connected to the internet, and are gradually restoring medical and educational facilities.

Persistent challenges remain: youth outmigration, declining family formation, and school closures threaten the long-term vitality of rural communities. Agricultural traditions are also addressed, with emphasis on terrace farming and viticulture—practices deeply rooted in Meskhetian history and central to its agrarian identity.

Keywords: Meskheti, migration, polyethnic, multi-confessional, infrastructure, terrace farming, viticulture.

მედეა ბურდული

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი. მის: 0800,
საქართველო, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #106
ORCID: 0000-0002-8866-1414
burdulimedea@yahoo.com
+995 599 23 12 97

აბსტრაქტი

ნაშრომში, ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია მე-20 საუკუნის დასაწყიდსიდან დღემდე მესხეთში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, გარე და შიდა მიგრაციული პროცესების ფონზე სოფლის იერსახის, განათლების, კულტურული ცხოვრების, ეთნიკური და სარწმუნოებრივი ცვლილებების დინამიკა თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგებით.

მესხეთის მოსახლეობა ისტორიული კატაკლიზმების გამო, მე-17 -19 საუკუნეებში, პოლიეთნიკურ და მრავალკონფესიურ მხარედ ჩამოყალიბდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში უმრავლეს სოფელებში სხვადასხვა სარწმუნოების და ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა ერთად, არეულად, ასე მაგ: ქართველი მართლმადიდებელი, ქართველი კათოლიკე, სომეხი გრიგორიანი, მაჰმადიანები, - როგორც ეთნიკურად ქართველი ისე თურქი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მე-19 საუკუნეში შემოსახლებულ სომხების და რუსების სოფლები კი მონოეთნიკური იყო.

მესხეთში სხვადასხვა ეთნოსთა შორის არსებული ფარული უკმაყოფილება მე-20 ს-ის 20-იან წლებში, პოლიტიკურად გამწვავებული სიტუაციის გამო, ღია კონფლიქტში გადაზარდა. 1918-1919 წლებში მესხეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირშია განხილული 1944 წელს მესხეთიდან მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლებასა და მათ ადგილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის გადმოსახლებასთან.

სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის გარეგნული იერსახის ცვლილებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-განათლების საკითხს და სხვ. მესხეთის სოფლებში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მე-20 ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო ახალი საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა, გაიხსნა ბიბლიოთეკები, სამედიცინო პუნქტები..., სამწუხაროდ საქართველოში 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების გამო სოფელში კვლავ ბევრი პრობლემა გაჩნდა... და ბევრი რამ ახლიდან გასაკეთებელი გახდა. დღეს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიფიცირებულია, თითქმის ყველა სოფელშია ინტერნეტი, ხელახლა იხსნება სამედიცინო პუნქტები და საბავშვო ბაგა-ბაღები.

არსებული პრობლემებიდან დღეს ძირითადია სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაცია, ახალშექმნილი ოჯახებისა და ბავშვების ნაკლებობა, სოფელის სკოლების დახურვა, რაც საბოლოოდ სოფლების ნელ-ნელა დაცარიელებას გამოიწვევს.

სტატიაში მოკლედ შევეხეთ სამეურნეო ტრადიციებსაც, შედარებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი ტერასულ მეურნეობას და ვაზის კულტურას, რადგანაც მევენახეობას, როგორც ისტორიული წყაროები ადასტურებენ მესხეთის სოფლის მეურნეობაში უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

საკვანძო სიტყვები: მესხეთი, მიგრაცია, პოლიეთნიკური, მრავალკონფესიური, ინფრასტრუქტურა, ტერასული მეურნეობა, მევენახეობა.

შესავალი

ისტორიული და ლიტერატურული წყაროების, ასევე ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია მესხეთის სოფლის ეთნოგრაფიულ ყოფა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. აღნიშნული მიზნით, სტატია ეყრდნობა, როგორც წინა თაობის ეთნოგრაფების// ეთნოლოგების შრომებს (მივლინებების ანგარიშებს, მესხეთის თემაზე დაწერილ სტატიებს თუ მონოგრაფიებს), ასევე ავტორის პირადი მივლინებების დროს მოპოვებულ მასალას. ეთნოგრაფიული მასალა შევკრიბეთ: ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის ქართულ სოფლებში. საველე ეთნოგრაფიული მუშაობისას შეიკრიბა საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა მესხეთის სოფლის როგორც წარსულის ისე თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფის თაობაზე, გამოიკვეთა ის სიძნელეებიც, რაც დღეს სოფლის მცხოვრებთა წინაშე დგას.

მეთოდები

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის დროს გამოვიყენე მასალის შეკრების კომპლექსურ ინტენსიური მეთოდი, მასალის მოძიება მოვახდინეთ უშუალო დაკვირვებისა და იტერვიუირების მეთოდის საშუალებით, ხოლო მასალის დამუშავებისა და სტატიის მომზადების დროს ეთნოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებულ კრიტიკულ-ანალიტიკურ, შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ და სხვ. მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა

როგორი იყო მესხური სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა მეოცე საუკუნის დასაწყისში?- აღნიშნულ კითხვაზე პასუხის მისაღებად მოკლე ისტორიული ექსკურსი არის საჭირო, რადგანაც ეთნიკური ტრადიციები და სარწმუნოებრივი კუთვნილება, როგორც ეთნოგრაფიული ყოფის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, მჭიდროდ უკავშირდება

ქვეყნის ისტორიას. ისტორიულად, ზემო ქართლი ანუ მესხეთი დიდი კულტურის ქვეყანა იყო. შუა საუკუნეებში აქ განსაკუთრებით ჰყვაოდა სასულიერო ცხოვრება, მაგრამ მე-17 საუკუნიდან მესხეთი თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცა, მე-18 ს-ის 70-იანი წლებიდან კი გაიზარდა ქრისტიუნული მოსახლეობის ჩაგვრა და თურქთა მონობისაგან გადარჩენის მიზნით მოსახლეობის ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო. ზემოაღნიშნულს დაემატა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთის ტერიტორიიდან ჩამოსახლებული სომხები და რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებული სექტანი რუსები/დუხობორები. მესხეთში გარდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისა, ცხოვრობდნენ ებრაელები, თურქები, ლეკები, ქურთები, თარაქამები, მუტრუფნი, ბოშები, და სხვ. მრავალეთნიკურ საზოგადოებაში კი, როდესაც ადგილი აქვს დემოგრაფიული მდგომარეობის ძალადობრივ ცვლილებებს, აღნიშნული ბუნებრივია თავისებურ დაღს ასვამს ეთნოგრაფიულ ყოფას.

რადგანაც პოლიეთნიკურ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს, ახასიათებთ ერთმანეთისაგან იზოლირება, - „ყოველი ჯგუფის იზოლაციის მიზეზად ზოგად მახასიათებებთან ერთად, გვევლინება საკუთარი ტრადიციული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფების განკერძოება-გაუცხოებას. ყოველ სოციუმში იზოლირების ძირითად ელემენტებად წარმოგვიდგება ეროვნულობა, რელიგია (კონფესია), ენა, ადაპტაციის უნარი და ბუნებრივი გარემო“ (მელიქიშვილი, 1998:3).

ზემოაღნიშნული იწვევს დაძაბულობას ეთნოსებს შორის, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე ეთნიკური ჯგუფი ცდილობს უპირატესობის მოპოვებას, მდგომარეობა უკიდურესად იძაბება და როგორც კი პოლიტიკურად შესაფერისი დრო დგება, ფარული დაპირისპირება შეიძლება სამოქალაქო ომად გარდაიქმნას, რაც მოხდა კიდეც მესხეთში მე-20 ს-ის 20-იან წლებში.

როგორი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის მესხეთის სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა?, აღნიშნულ პერიოდში ზოგიერთ სოფელში სხვადასხვა სარწმუნოების და ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა ერთად, არეულად, ზოგან ერთი ეთნოსის და სარწმუნოების (ეს ეხება ძირითადად მე-19 საუკუნეში შემოსახლებულ ეთნოსებს, - სომხებს და რუს სექტანტებს). „სოფელ ვალეში ბინადრობენ ქართველი მართლმადიდებელი, ქართველი კათოლიკე, სომეხი გრიგორიანი და ქართველი მაჰმადიანი.... სოფელი უდე, - უმრავლესობა ქართველი კათოლიკეა, უცირესობა მაჰმადიანი რჯულისა. ამ სოფლის ქრისტიანთა მოძღვარი და მაჰმადიანთა მოლა ორივე ჭილაშვილი არიან. გამოდის რომ სახლიკაცები ადიდებენ ღმერთს სხვადასხვა ენით და სხვადასხვა წესით“ (ფრონელი, 1991:136).

ზემონათქვამიდან, დაახლოებით ოცი წლის შემდეგაც , იგივე სოფლების შესახებ, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ვკითხულობთ: სოფ. ვალეში 270-300-დე კომლია. 150 კომლი - კათოლიკე, 50 მართლმადიდებელი, 70 მუსულმანი ქართველი. (ჩიტაია. 2001.188), ხოლო უდეში, - მუსულმანი 60 კომლზე მეტი არ არის (ჩიტაია, 2001: 203)

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მესხეთისათვის დამახასიათებელია შეჯგუფული დასახლება, დარბაზული სტილის, მიწაში ჩადგმული საცხოვრებელი სახლები ერთიმეორსთან ძალიან ახლოა აშენებული. „ხის გაშლილი კარაპნები რომ არ ედგათ წინ, ვერც

კი შეატყობდით რომ აქ სახლებია“(ფრონელი, 1991:138). ჩვენს მიერ სოფელ ზველში ჩაწერილი მასალის მიხედვით,- „სოფელი იქეთ იყო, ეგერ გორაზე, რაბათს ვეძახდით, აქეთ სადაც ახლაა სოფელი, სახლების მშენებლობა 1960-65 წლებში დაიწყო, მანამდე მიწურ სახლებში ვცხოვრობდით. მიწურ სახლს ეზო სად ჰქონდა-ო“.

მეოცე საუკუნის მესხეთისა და მესხების შესახებ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ა. ფრონელის დაკვირვებით თურქთა ხანგრძლივმა ბატონობამ დაღი დაასვა თავად მესხის ხასიათსაც, - დღევანდელი მესხი, გადაგვარებულ-გადაკეთებული, ხასიათით მშვიდი და წყნარია, აურზაურს ერიდება და ძნელად თუ ხმას ამოიღებს, მეტისმეტად სიცოცხლე თუ არ გაუმწარა უსამართლობამ. ძველებური სიმკვირცხლე, თავმოწონება, ვაჟკაცობა და სილამაზე სადღაც გამქრალა... მის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მართლმადიდებელი ქართველების ყოფა ძალიან მძიმე იყო. „დიდ გაჭირვებასა და წვასა და დაგვაში ვიყავით მართლმადიდებელი ქართველები თათრების ბატონობის დროსო. ძნელათ თუ ვინმე მოახერხებდა თავისი ოფლით ნაშოვნი და მონაღვაწი სარჩო ოჯახში მშვიდობით შეეტანა“ (ფრონელი, 1991: 61).

ჩიტაიას აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს: თურქეთის ბატონობამ ორასი წლის განმავლობაში (1625-1824), საკმაოდ დიდი გარეგნული კვალი დაამჩნია ადგილობრივ მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, მესხების ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ მრავალი ნიშანი შემოინახა, რომლებიც ამჟღავნებენ მათი კულტურის უძველეს ფენებს, გაცილებით ადრინდელს, ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნეში შემოჭრილი მუსულმანობა (ჩიტაია, 2001: 219).

1924 წლის „მესხეთის ექსპედიციის დღიურში“ იმედიანად წერს, რომ:„...აქ ქართველობა ჯერ კიდევ არის და კვლავაც იქნება. განსაკუთრებით სიამის მომგვრელია აქ ქართული ლაპარაკი....და აფსუსი არ არის, რომ ეს მდიდარი ქვეყანა, ნოყიერი, მესხები, რომელთაც პოლიტიკურად და კულტურულად საქართველო შექმნეს.... დღეს ნახევრად ქოჩად მავალის ხალხის - .... - საჯიჯგნი და სახრავი იყოს?“. ასევე საინტერესო დაკვირევება აქვს გადმოცემული მუსულმან ქართველ ქალებზე გ. ჩიტაიას „...ქალები პირსაბურს არ იფარებენ ქართველებთან, მხოლოდ მუსულმანებთან...“ (ჩიტაია, 2001: 182-188).

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, თუ როგორი იყო მესხეთში მე-19 საუკუნეში ჩამოსახლებული სხვა ეთნოსების დამოკიდებულება ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ და რატომ ცდილობდნენ ქართული კვალის წაშლას, მიზეზი ადვილად ასახსნელია. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა რომ დავიცვათ შემდეგი ავტორია გიორგი ბოჭორიძე, მან 1932-1933 წლებში შეისწავლა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ძეგლები, მუშაობის დროს მას ბევრი სიძნელე შეხვდა, განსაკუთრებით ქართული ძეგლების მონახულებისას, წარწერიანი ქვების ძიებისას, რომლებიც მავანთა მიერ სხვადასხვა დანიშნულების შენობებში იყო ჩატანებული, ქართული წარწერები გადაფხეკილი, გადალესილი და სხვ. მისი ნაშრომიდან ერთ მაგალითს მოვიტან მხოლოდ, როგორც წერს მას ერთ-ერთმა 70-80 წლის მთხრობელმა, იოსებ ბალახაშვილმა უამბო, რომ: „„ჩემს ახალგაზრდობას წყალთბილას სკოლის შენობაზე მახსოვს ფეტობენიდან მოტანილი ქვა მეფე-

დედოფლის გამოსახულებითაო, მას აქეთ კარგა ხანია, ისინი ნახეთ, თქვენთვის სინტერესოაო“ (ბოჭორიძე, 1994: 72).

„სიძველეთა დაცვის კომიტეტის“-ადმი დაწერილ წერილში აღნიშნავდა: „დიდი წვალება გადამხდა წყალთბილადან ქვების წამოღებაზე. ისინი დაფარული ჰქონდათ: ეწყო სკოლის შენობის კარის თავზე, კირით გადალესილი (გამოსახულებიანი ქვა პირდაპირ გადაელესათ, ხოლო წარწერიანი წინასწარ გადაეფხიკათ და მერე გადაელესათ. აღმოჩენის მერე სკოლის გამგე ერვანდ სიმონიანი არ მანებებდა; დიდი დავიდარაბის შემდეგ გამოვართვი, ჩამოვხსენი და მოვიტანე ვალეს“ (ბოჭორიძე, 1994: 250).

დღესაც კი, ქართული ნასოფლარებისა და ქართული კულტურის ძეგლების ისტორიული წარსულის შესწავლას, როგორც პროფ. თ. იველაშვილი წერს, აქვს არა მარტო „წმინდა მეცნიერული, არამედ ამ ბოლო ხანს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ეთნო-პოლიტიკური და ეთნო-სოციალური დატვირთვაც გააჩნია“ (იველაშვილი, 2004: 62).

ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მესხეთის სოფელი უკვე უკეთესად გამოიყურება, - „უცებ ჩვენს თვალწინ კოპწია სოფელი გადაიშალა, რომელიც თითქოს მთის ფერდობზე იყო შეფენილი. ახლოს რომ მივედით, ვნახეთ, რომ სოფელი ზეგანზე იყო გაშენებული. სოფელში რომ შევედით, საოცარი სიჩუმე და სიმშვიდე სუფევდა“ (რუხაძე, თარიღის გარეშე 11), მაგრამ ღამით, „არცერთი ბინის სარკმლიდან სინათლის მბჟუტავი შუქიც არ ჩანდა. ადამიანის ჭაჭანება არ არის, მხოლოდ ძაღლების გამბული ყმუილი ისმის. ეს ჩაკარგული სოფელი არ ვიცი, გამოირჩევა თუ არა სხვა სოფლებისგან (რუხაძე, თარიღის გარეშე 15). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს ხდება 1942 წელს, ომია, და შეიძლება ეს უსაფრთხოების ნორმებიდან იყოს გამომდინარე. ამ წლებში ერკოტა 54 კომლიანი სოფელი ყოფილა, 50 კომლი ქართველი და 4 თათარი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობის სამეზობლო ურთიერთობა, როგორც მონოეთნიკურ, ისე მრავალკონფესიური მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, რომელიც ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. „მთხრობელთა გადმოცემით შერეულ სოფლებში: თოკში, ტოლოშში, როკეთში, ზველში, ნაქალაქევში, ქუნცაში აწყვიტაში, ოშორაში, ინდუსაში და ა.შ.კარგი მეზობლობა ჰქონდათ. შემოსევების დროს ასეთი სოფლების მცხოვრები ქრისტიანი ქართველები არ გარბოდნენ. მათ იფარავდნენ მეზობელი მაჰმადიანი ქართველები“ (ყრუაშვილი, 2013: 272).

მესხეთის მოსახლეობისთვის რომ ძალიან მტკივნეული და მძიმედ გასახსენებელია 1918-1919 წლებში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები, ადასტურებს ამდენი დროის გასვლის შემდეგაც ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალაც. საიდანაც ჩანს, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა მოქმედებდა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ თურქეთიდან შემოსული ბანდების საბრძოლო საქმიანობაში და ხშრად მათი გზის მაჩვენებლებიც იყვნენ. თურქი აგენტების წაქეზებით მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მაჰმადიანებმა წამოიწყეს მოძრაობა თურქეთთან შესაერთებლად, მათ სამწუხაროდ აჰყვნენ მაჰმადიანი ქართველები (ბურდული, საველე

დღიურები 2012-2019.) ისტორიული მეხსიერება კი დიდ როლს თამაშობს ეთნოსის ცხოვრებაში.

1918-1919 წლებში მესხეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენები ისტორიკოსების მიერ განხილულია როგორც სამოქალაქო ომი, რომელთანაც მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ 1944 წლის მოვლენები, მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლება და მათ ადგილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის გადმოსახლება.

1917-1921 წლებში მესხეთში განვითარებული მოვლენებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ როგორც ქართველებსა და სომხებს შორის, ისე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ურთიერთობის დაძაბვაში სომხურმა დაშნაკურმა პარტიამ დიდი როლი შეასრულა, ასე მაგ: „გამოჩნდნენ თუ არა მესხეთში დაშნაკური პარტიის წარმომადგენლები ურთიერთობა ქართველებს და სომხებს შორის დაიძაბა... თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა კიდევ უფრო დაქსაქსა და დააპირისპირა ერთმანეთს ადგილობრივი მოსახლეობა და ეს კუთხე სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაახვია“ (ჟუჟუნაძე, 2014: 173). ასევე უნდა აღინიშნოს ის გაუაზრებელი საკადრო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ატარებდა, ყველა საკვანძო თანამდებობაზე დაშნაკები იყვნენ დანიშნული.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მაჰმადიანების მიერ ქართული (ქრისტიანი) მოსახლეობის დარბევას „თალანი“-თ მოიხსენიებენ მთხრობელები, განსაკუთრებული რისხვა დაატეხეს თავს წმინდა ქართულ სოფლებს. „როცა თურქის ჯარები შემოდიოდნენ, მათზე მეტად ადგილობრივი თათრები უფრო ხოცავდნენ ქართველებს. როცა გავიქცეოდით ადგილობრივი თათრები ძარცვავდნენ ჩვენს სახლებს, თალანზე დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ქალებს აუპატიურებდნენ, მამაკაცებს ხოცავდნენ“- გადმოგვცემენ მთხრობელები. 1944 წლის მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლებასთან დაკავშირეითაც ამართლებენ სახელმწიფოს მოქმედებას, და ამავე დროს საინტერესოა რას ფიქრობენ მათი ჩამოსახლების შესახებ? შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა (ადგილობრივები) წინააღმდეგია, „ რომ ჩამოასახლონ ისეთივე ამბავი დატრიალდება-ო“ (მხედველობაში აქვთ 1918-1919 წწ.), ხოლო საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან 1944 წელს ჩამოსახლებულების ნაწილი არ არის წინააღმდეგი, ზოგიერთმა ისიც კი გვითხრა, რომ „თავის გამართულ სახლ-კარს ეგრეევე ხელუხლებლად დაუტოვებს ჩამოსახლებულებს, თუ მთავრობა ასეთივე სახლს თავის ძველ სოფელში დაახვედრებს“ , ასევე საინტერესოა, რომ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: „იყვნენ ბოროტი თათრები, რომლებიც გვარბევდნენ და კეთილები, რომლებიც სხვა სოფლებიდან თათრების შემოსევის დროს გვიფარებდნენ თავიანთ სახლებში“-ო (ბურდული, 2012-2019).

რა იყო მიზეზი მაჰმადიანი ქართველების ასეთი სასტიკი დამოკიდებულებისა ქრისტიან ქართველებზე? და რა გახდა მათი გასახლების მიზეზი? - ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, გაუცხოებას მრავალმა მიზეზმა შეუწყო ხელი, ჯერ თურქეთის დ შემდეგ რუსეთის ეროვნულმა პოლიტიკამ. თუ თურქეთის ბატონობისას ქრისტიანი ქართველი ყველაზე დაჩაგრული იყო, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის მერე უკვე სხვა ეთნოსებთან შედარებითაც უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა საკუთარ სამშობლოში. მდგომარეობა ამ მხრივ არც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შეცვლილა, უფრო კი პირიქით, ქართული

ორიენტაციის მაჰმადიამ ქართველებშიც გაქრა იმედი იმისა, რომ საქართველოში ქართველებად ეღიარებინათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მე-20 ს-ის 30-იან წლებში სოფლების-- ოშორის, მუგარეთის, გიორგიწმინდისა და სხვა სოფლების მაჰმადიანი მესხებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარს მარიამ ორახელაშვილს,- გაეხსნათ მათი ბავშვებისთვის ქართული სკოლები, მან კი ასეთი პასუხი გასცა „თქვენ თათრები ხართ და თქვენს მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოთო“ (ბლუაშვილი, 2013: 50).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჭობარეთში, ჩვენი 85 წლის მთხრობელი „თათრებს“ ორ კატეგორიად ჰყოფს: „იყვნენ კარგები რომლებთანაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, რომ დაგვცილდნენ მთავრობის ბრალია, ქართული სკოლები არ გაუხსნეს, თუმცა ისინი თხოულობდნენ“ და „ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ქართველებს ვერ იტანდნენ, ომის დროს ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, ისინი აუცილებლად უნდა გაესახლებინათ“ (ბურდული, 2019-2020. სოფ. ჭობარეთი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე მე-20 საუკუნის 40-იანი წლებისათვის მესხეთის მაჰმადიან მოსახლეობას უკვე დაკარგული ჰქონდა არა მარტო ენა და სარწმუნოება, არამედ ეროვნული ცნობიერებაც და გასახლების ერთ-ერთი მოტივაცია შეიძლება ყოფილიყო ის, რომ „თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მათ ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის ჩამოსახლებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაებალანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში“ (ბლუაშვილი, 2013: 52).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, 1944 წელს მესხეთში განხორციელებული “ნებაყოფლობითი“ შიდამიგრაციული პროცესებიც მთლად ნებაყოფლობითი რომ არ ყოფილა, ეს ჩანს როგორც ოფიციალური დოკუმენტებით, ისე ეთნოგრაფიული მასალითაც. ასე მაგ., ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით 1944 წლის 16 დეკემბრიდან საქართველოსსხვადასხვა რაიონიდან ახალციხის რაიონში ჩამოსახლდა 2359 ოჯახი, ჩამოსახლებულებს, თითოეულ ოჯახს, გამოეყოთ საკარმიდამო ნაკვეთი, 0, 75 ჰა; მშენებლობისათვის მიეცათ გრძელვადიანი სესხები; მათი სამშენებლო მასალით უზრუნველსაყოფად აშენდა 2 აგურ-კრამიტის ქარხანა (აბესაძე, 1998: 54).

თითქოს ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ გადმოსახლებულები ადგილობრივ პირობებს შეჰგუებოდნენ, მაგრამ (1946-47წ.წ.) ჩამოსახლებულების ნაწილი თხოულობდა თავდაპირველ საცხოვრებელ ტერიტორიებზე დაბრუნებას, მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ასახელებდნენ. და რადგან გადმოსახლებულთა ნებით უკან დაბრუნება თითქმის არ ხდებოდა, ხშირად თვითნებურად იპარებოდნენ.

ჩემს მიერ შიდამიგრაციაზე სხვადასხვა დროს ჩაწერილი მასალების მიხედვითაც გადმოსახლებულა ნაწილი ძალით გადმოასახლეს, ნაწილი კი სურვილით ჩამოსახლებულან, ფიქრობდნენ უკეთეს ადგილზე მოხვდებოდნენ. „რაჭაში ერთ ჯალაბად ვცხოვრობდით, ამ ჯალაბს კიდევ არც სასმელი გვქონდა და არც საჭმელი. მიწებიც აღარ იყო, რომ რამე მოსავალი მიგვეღო. ამბავი რომ მოვიდა უნდა გადაგასახლოთო, გაგვიხარდა, ჩვენ გვეგონა უკეთეს ადგილზე წამოვიდოდით“. ძალით არ გასახლებთო კი თქვეს მაგრამ რაღა ნებით იყო, მამა და ჩემი და ტიფით იყვნენ ავად და ეგრე სიცხიანები წამოიყვანეს, - ძალით იყო აბა რა. ჰაერი იქით

უკეთესია, მე იქ მზისგან გაშავებული ადამიანი არ მინახავს, აქ რომ ჩამოვედით ისე დავიჭვარტლეთ, აღარ შეგვეხედებოდა. რაჭაში დიდი თოვლი იცის სხვა მხრივ ყველაფრით სჯობია“ (ბურდული, სოფ. 2002).

როდის მიიღო მესხეთის სოფელმა თანამედროვე, დღევანდელი იერსახე?- ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მე-20 ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, დაიწყო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა, გაიხსნა ბიბლიოთეკები..., დღეს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიფიცირებულია, თითქმის ყველა სოფელშია ინტერნეტი. 90-იანი წლებიდან ზემოაღნიშნული სიკეთეები თანდათან მოიშალა და სოფლის ინფრასტრუქტურა დღეს ხელახლაა გასაკეთებელი და მოსაწესრიგებელი.

„სოფელი იქეთ იყო, ეგერ გორაზე, რაბათს ვეძახდით, აქეთ სადაც ახლაა სოფელი, სახლების მშენებლობა 1960-65 წლებში დაიწყო, მანამდე მიწურ სახლებში ვცხოვრობდით. სახლების მშენებლობაში მთავრობა გვეხმარებოდა, ვისაც არ ჰქონდა შეძლება კრედიტს აძლევდა, -500-600 მანეთს, შეიძლებოდა 1000, 2000 მანეთიც. კრედიტის დაფარვას შრომადღეების რაოდენობიდან ანგარიშობდნენ, 1963 წლამე იყო ასე, მერე ფული შეგვქონდა. დიდი პროცენტი არ იყო მაგრამ მაინც გვიჭირდა“- გადმოგვცემენ მთხრობელები“ (ბურდული, 2019. სოფ. ზველი).

მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან აქ ჩამოსახლებულები, ბუნებრივია თავიანთი სამეურნეო გამოცდილებით მოვიდნენ, და ადგილობრივ ტრადიციასა და გეოგრაფიულ პირობებს შეუხამეს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სოფლად ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ ვერ გადაწყვიტა პრობლემები, უფრო პირიქით მოხდა, გლეხებისათვის დარიგებული მიწის ნაკვეთი (0.75-დან ერთ ჰა-მდე) და 0, 25 მეასედი სათიბი ვერ უზრუნველყოფ გლეხის ოჯახს. „კოლმეურნეობების დაარსებამდე უფრო მეტი ფართობები გვქონდა, ზოგს 5ჰა, ზოგს 10 და მეტი და შეგვატაინეს კოლმეურნეობებში, ეხლა კი ბევრად ნაკლები დაგვირიგეს ასეთი მცირე მიწით ვერაფერს იზავ“, - გადმოგვცემენ მთხრობელები. ასევე აღარ არის სასოფლოდ დატოვებული მიწის ფონდი, რომ გაყრის შემთხვევაში მიეცეს ახალ მეკომურს და ა.შ. აღარ ფუნქციონირებდა რეგიონის რაიონულ ცენტრებში არსებული საწარმოები სადაც ოჯახიდან თითო წევრი მაინც მუშაობდა და ფულადი შემოსავლებიც ჰქონდათ, გაიზარდა უმუშევრობა და ახალგაზრდების მიგრაცია, სოფლების დაცლა. არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ამაში ახალგაზრდებს ხშირად მშობლებიც უწყობენ ხელს, „არ მინდა ჩემმა შვილმაც ისე იწვალოს როგორც მე ვწვალობო“. ახალგაზრდების მიერ სოფლის დატოვება ბუნებრივია იწვევს დემოგრაფიულ კრიზისს, ზოგიერთი სოფლის სკოლაში კატასტროფულადაა ბავშვების რაოდენობა შემცირებული, სკოლების დახურვა კი დარჩენილი ოჯახების წასვლას და სოფლის საბოლოოდ გაქრობას გამოიწვევს.

სოფელს თუ სკოლა არ აქვს, ყველა ოჯახი ვისაც ბავშვი ჰყავს, ძირითადად ახალგაზრდა ოჯახები, სოფელს სტოვებენ. „ ჩემი შვილიშვილი მომავალ წეს უნდა შევიდეს სკოლაში, ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის რომ ოროთახიანი ბინა ვუყიდო ახალციხეში ჩემს შვილს და რძალს, აბა რა ვქნათ, ბავშვს უსწავლელს ხომ არ დავტოვებთ“-ო. „გასულ წელს 25

ბავშვი იყო, წელს შვიდია, მომავალ წელს პირველკლასელი აღარავინ იქნება“-ო (ბურდული. 2019. სოფ. ორგორა).

„კოლმეურნეობების დროს სოფლის საქმეები ერთად გვარდებოდა დღეს კი ასე აღარაა“ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს მოქმედი „სოფლის დახმარების“ პროგრამა რომელიც ითვალისწინებს სოფლის სახალხო კრებების გადაწყვეტილებების შესაბამისად პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტას, სოფლის ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებს..

მაგრამ მაინც, ა. ფრონელის მიერ მესხური სოფლის აღწერიდან 90 წლის მერე როგორც ეთნოლოგი ზ. ქუქჩიშვილი წერდა, მე-20 ს-ის 90-ანი წლების დასაწყისში მესხეთის სოფლის იერსახე საკმაოდ განვითარებულად გამოიყურება, ასე მაგ; - „სოფ. ხიზაბავრაში აშენდა საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო პუნქტი, მაღაზიები, ფურნე, ელწისქვილები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასმელი წყლის გამოყვანა თეთრობ-ჭობარეთიდან, ხოლო მდინარე მტკვარზე კი სარო-ხიზაბავრის ტერასების გასარწყავებისათვის, დიდი წყალსატუმბის აშენება-დამონტაჟება“ (ქუქჩიშვილი, 1997:23).

როგორი იყო მესხეთის სოფლის სამეურნეო კულტურა, რომლის განხილვის გარეშედაც საერთო სურათი ნაკლული იქნება? - ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო, ისტორიულად მესხეთში სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი დარგი იყო განვითარებული. მაღალ დონეზე იყო სამიწათმოქმედო კულტურა და მესაქონლეობა, ასევე მეფუტკრეობა, მეფრინველეობა. მდიდარი ბუნებრივი გარემოს გამო მონადირეობა. და მეთევზეობაც.

სტატიაში ბუნებრივია ყველა სამეურნეო საქმიანობას ვერ განვიხილავთ, მოკლედ შევეხებით მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგს, - მევენახეობას, რომელიც თურქთა ბატონობის ხანაში ძალიან დაზარალდა, „ თითქმის ამოგდების პირას მივიდა“, და რომლის ხელახლა აღორძინება მიმდინარეობს. ვაზის კულტურა მესხეთისათვის რომ უმნიშვნელოვანესი იყო, ამას უძველესი წერილობითი ძეგლებიდანაც ვიგებთ: „„მესხები ერთ-ერთი პირველი ეთნიკური ერთეულია, რომლებიც ლურსმულ დამწერლობით ძეგლებში, ძვ. წ. XII საუკუნიდან მევენახეებად და მეღვინეებად მოიხსენიებიან“ (ფრუიძე, 2014: 52). აღნიშნულს სამცხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ადასტურებს, - ახალციხის ამირანის გორის კომპლექსში დაცული მონაცემები შესაძლებელს ხდის ტერასული მიწათმოქმედების ფესვები მტკვარ-არაქსის კულტურას მივაკუთვნოთ, რომელიც IV-III ათასწლებში აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს (ჩუბინიშვილი, 1963: 77-92). უფრო მეტიც, საქართველოს მევენახეობის განვითარებაში მესხების წვლილის შესახებ, -„კვლევა ძიების თანამედროვე ეტაპზე ნათელია, რომ მცირე აზიაში ვაზის კულტურა მესხების მიერ უნდა იყოს შეტანილი. მესხები, ე.ი. ქართველები ერთადერთი ცოცხალი, მოქმედი ხალხია, რომელიც დასაბამიდან დღემდე მეურნეობის ამ დარგს ავითარებდა და ბედის ტრიალის გამო, სადაც კი ცხოვრება მოუხდებოდათ, თავშესაფრის მოწყობასთან ერთად, საარსებო საშუალებად პირველად ვაზს რგავდა“ (ფრუიძე, 2014: 21). თურქთა ბატონობამ, როგორც ბევრი სხვა რამ, ეს კულტურაც დააკნინა, მაგრამ როგორც კი საშუალება გაჩნდა კვლავ

ააღორძინა, ამის ნათელი მაგალითია დღეს ხიზაბავრის ტერასებზე კვლავ ვენახების გაშენება და მომრავლებული ღვინის მარნებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერასული მეურნეობა განიხილება როგორც განსაზღვრული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი შეპირობებული სამეურნეო ფორმა. მესხეთში ტერასები ძირითადად გავრცელებულია ასპინძის რაიონში, მტკვრის ხეობასა და მასში შემდინარე მომცრო ხეობათა სიღრმეში. მესხეთში ქვისკედლიანი ტერასები უკავშირდება მეურნეობის ორ დარგს: მევენახეობასა და მებაღეობას (ბერიაშვილი, 2016:249-250). და რომ „ტერასებზე მარტო ვენახი იყო მოწყობილი, საერთოდ ვენახს აქ ხეხილის ბაღებს ვეტყვით, შეიძლება ვაზიც არ იყოს“-ო (ჩიტაია, 1997: 35).

ტერასები და ვაზის ძველი, გაგარეულებული ჯიშები დიდი რაოდენობით გვხვდება სამცხის ბევრ სოფელში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მევენახეობის აღდგენისათვის გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

როგორი იყო სწავლა-განათლება და ქართული ენის სტატუსი მესხეთში? - მესხეთის სოფელზე სრული სურათის შესაქმნელად საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ სწავლა-განათლების საკითხსაც. ისტორიულად ცნობილია, რომ „მესხი სწავლითაა ქებული“, მაგრამ „მას შემდეგ რაც ოსმალონი გაბატონდნენ სამცხე-საათაბაგოში, სწავლა განათლება, ხელოვნება და ვაჭრობა უკან-უკან წავიდა ამ კუთხეში“ (ფრონელი, 1991:128). სამწუხაროდ მაჰმადიანი ქართველების ნაწილი ვეღარ თუ აღარ ლაპარაკობდა ქართულად, - „მესხი მაჰმადიანი სუფთად ლაპარაკობს ქართულად აწყურის, იდუმალისა და კლდის სამამასახლისოში. ნარევ-ნარევად სხვა დანარჩენ სამამასახლისოებშიც მოიპოვება ქართულად მოლაპარაკე სოფელი, მაგრამ საერთოდ რომ ვთქვათ, თუ დროზე რიგიანი სკოლა არ მიეშველა ამგვარ სოფელს, ქართული ენა ძირფესვიანად ამოვარდება“ (ფრონელი, 1991:135).

დღევანდელი სოფელი და სკოლა ერთ განუყოფელ მთლიანობად უნდა წარმოვიდგინოთ, სკოლის გარეშე სოფელი ცარიელდაბა: სოფელს (ორგორა მ.ბ.) სკოლა არ აქვს, ყველა ოჯახი ვისაც ბავშვი ჰყავს წასვლას ფიქრობს, ახალგაზრდა ოჯახები სოფელს სტოვებენ.

თუ თვალს გადავავლებთ მესხეთში სასწავლო დაწესებულებების განვითარების სტატისტიკას ახალციხეში ორწლიანი სამაზრო სკოლის გახსნიდან უნივერსიტეტის დაარსებამდე, ისტორიული დოკუმენტების მიხედვით სურათი ასეთია: 1831 წელის 1 აგვისტოს გაიხსნა ქ. ახალციხეში სამაზრო (საერო) სასწავლებელი, რომელიც ორი კლასისაგან შედგებოდა. ამასთანავე არსებობდა რამდენიმე კერძო სკოლაც - ქართული, სომხური, თურქული და ებრაული. ახალციხეში 1913 წელს გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ორი განხრით, - აგრონომიული და საბუღალტრო, ხოლო 1937 წლიდან ფუნქციონირებდა ორწლიანი სამედიცინო სასწავლებელი და ვალეს N1 სამთო-სამრეწველო სკოლა; 1936 წლიდან დაარსდა ახალციხის პროფესიული თეატრი, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1941 წელს და განაახლა 1945 წელს; 1946 წელს სკოლების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზარდილი, უკვე მოქმედებდა 56 სკოლა, აქედან 6 საშუალო, 24 რვაწლიანი, 26 დაწყებითი; 1948 წელს 57სკოლა, - 5 საშუალო, 21 რვაწლიანი, 30 დაწყებიტი 1 მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლა (აბესაძე, 1999: 71-72-73).

დაბოლოს, ახალციხე დღეს საუნივერსიტეტო ქალაქია, 1990 წელს დაარსდა ახალციხის უნივერსიტეტი, რომელიც არა მარტო ახალციხისთვის, არამედ მესხეთისა და სრულიად საქართველოსათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. დაარსებიდან მხოლოდ 36 წელია გასული, რაც ისტორიისათვის ძალიან ცოტაა, მაგრამ თუ რეგიონის განვითარებაში სხვადასხვა მიმართულებით (დემოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური...) შეტანილი წვლილის მიხედვით განვიხილავთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით რომ შთამბეჭდავად გამოიყურება. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებულად მოღვაწეობენ, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბესაძე, ი. (1998). „ახალციხის რაიონის ეკონომიკური დახასიათება 1946-1955 წლებში“„მესხეთი“ (საისტორიო კრებული) II, თბილისი-ახალციხე.

აბესაძე, ი. (1999). ახალციხის რაიონი 1946-1955 წლებში (განათლება, თეატრი, პრესა), „მესხეთი“ (საისტორიო კრებული) III, თბილისი-ახალციხე.

ბლუაშვილი, უ. (2013) „სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისათვის“, დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა, საერთაშორისო სამეცნიერო თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, თბ.

ბერიაშვილი, ლ. (2016). საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს თავისებურებანი და სამიწათმოქმედო კულტურატა ზონალური განლაგების ტრადიცია, ქართველები, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ, თბილისი.

ბოჭორიძე, გ. (1992). „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“, თბილისი.

იველაშვილი, თ, (2004). „ქალაქ ახალციხის შემოგარენი (ნასოფლარი მოღნისი)“, მსე, თბილისი.

მელიქიშვილი, ლ. (1998). შესავალი კრებულისა, „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბილისი.

ჟუჟუნაძე, დ. (2014. N14). „სამცხე-ჯავახეთში მოქმედი დაშნაკური პარტიის როლი ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის დაპირისპირების საქმეში 1917-1921 წლებში.

რუხაძე, ჯ. (20..) „ცოცხალი ისტორიები“, ეთნოგრაფიული ჩანაწერები,საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, სერია: ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა. (თარიღის გარეშე).

ფრონელი, ა. (1991). „დიდებული მესხეთი“. თბილისი.

ფრუიძე, ლ. (2014). საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი პირველი, შესავალი-ძველი სამყარო, თბილისი.

ქუქჩიშვილი, ზ. (1997). სოფელი ხიზაბავრა“, თბილისი.

ყრუაშვილი, ნ. (2013). „1918-1919 წლების ეთნიკური კონფლიქტები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მოგონებებში“. დეპორტირებული მესხები- წარსული და

დღევანდელობა, საერთაშორისო სამეცნიერო თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. თბილისი.

ჩიტაია, გ. (2001). „1924 წლის მესხეთის ექსპედიციის დღიური“, სოფლები: უდე, არალი, ზარზმა, ვალე. გ.ჩიტაია, „შრომები“ ტ.III, თბილისი.

ჩიტაია, გ. (2001). „ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად (218-223)“, გ.ჩიტაია, „შრომები“ ტ.III, თბილისი.

ჩიტაია, გ. (1997). ,ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის ჯავახეთში, „შრომები ტ. I. თბილისი.

ჩუბინიშვილი, ტ. (1963). ამირანის გორა. თბილისი.

ეთნოგრაფიული მასალები:

ბურდული, მ. (2008; 2009; 2010; 2012; 2014; 2015; 2019 წ.წ.). საველე ეთნოგრაფიული მასალა. სამცხე-ჯავახეთი.

REFERENCES

abesadze, i. (1998). „akhaltsikhis raionis ek'onomik'uri dakhasiateba 1946-1955 ts'lebshi“„meskheti“ (saist'orio k'rebuli) II, tbilisi-akhaltsikhe.

abesadze, i. (1999). akhaltsikhis raioni 1946-1955 ts'lebshi (ganatleba, teat'ri, p'resa), „meskheti“ (saist'orio k'rebuli) III, tbilisi-akhaltsikhe.

bluashvili, u. (2013) „samkhret sakartvelodan mahmadiani mosakhleobis gasakhlebis mot'ivatsiis sak'itkhisatvis“, dep'ort'irebuli meskhebi - ts'arsuli da dghevandeloba, saertashoriso sametsniero temat'ur k'onperentsiaze ts'ak'itkhuli mokhsenebebi, tb.

beriashvili, l. (2016). sakartvelos bunebriv-sameurneo garemos taviseburebani da samits'atmokmedo k'ult'urat'a zonaluri ganlagebis t'raditsia, kartvelebi, qvelaperi kartvelta k'ult'urisa da etnosis shesakheb, tbilisi.

boch'oridze, g. (1992). „mogzauroba samtskhe-javakhetshi“, tbilisi.

ivelashvili, t, (2004). „kalak akhaltsikhis shemogareni (nasoplari moghnisi)“, mse, tbilisi.

melikishvili, l. (1998). shesavali k'rebulisa, „k'onplikt'uri sit'uatsiebi p'olietnik'ur sazogadoebashi, tbilisi.

zhuzhunadze, d. (2014. N14). „samtskhe-javakhetshi mokmedi dashnak'uri p'art'iis roli krist'ian da mahmadian kartvelta shoris dap'irisp'irebis sakmeshi 1917-1921 ts'lebshi.

rukhadze, j. (20..) „tsotskhali ist'oriebi“, etnograpiuli chanats'erebi,sakartvelos etnograpiuli memk'vidreobis datsvis pondi, seria: kartveli khalkhis t'raditsiuli k'ult'ura. (tarighis gareshe).

proneli, a. (1991). „didebuli meskheti“. tbilisi.

pruidze, l. (2014). sakartvelos mevenakheobisa da meghvineobis ist'oria, ts'igni p'irveli, shesavali-dzveli samqaro, tbilisi.

kukchishvili, z. (1997). sopeli khizabavra“, tbilisi.

qruashvili, n. (2013). „1918-1919 ts'lebis etnik'uri k'onplikt'ebi samtskhe-javakhetis mosakhleobis mogonebebshi“. dep'ort'irebuli meskhebi- ts'arsuli da dghevandeloba, saertashoriso sametsniero temat'ur k'onperentsiaze ts'ak'itkhuli mokhsenebebi. tbilisi.

chit'aia, g. (2001). „1924 ts'lis meskhetis eksp'editsiis dghiuri“, soplebi: ude, arali, zarzma, vale. g.chit'aia, „shromebi“ t'.III, tbilisi.

chit'aia, g. (2001). „adigenis raioni etnograpiulad (218-223)“, g.chit'aia, „shromebi“ t'.III, tbilisi.

chit'aia, g. (1997). ,etnograpiuli masalebi t'erasuli mits'atmokmedebisatvis javakhetshi, „shromebi t'. I. tbilisi.

chubinishvili, t'. (1963). amiranis gora. tbilisi.

Ethnographic materials:

burduli, m. (2008; 2009; 2010; 2012; 2014; 2015; 2019 ts'.ts'.). savele etnograpiuli masala. samtskhe-javakheti.